N1682 2015 წლის 31 ივლისი ქ. თბილისი

„საქართველოში რეპროდუქციული ჯანმრთელობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისში, თევდორე მღვდლის ქ. №13-ში მდებარე შენობაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართობის და მათზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 23 ივნისის №442 განკარგულებისგან განსხვავებული პირობის დადგენისა და შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორის“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49^1 მუხლის პირველი პუნქტის და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2013 წლის 6 სექტემბრის №1037-Iს საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

დადგინდეს „საქართველოში რეპროდუქციული ჯანმრთელობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისში, თევდორე მღვდლის ქ. №13-ში მდებარე შენობაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართობის და მათზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 23 ივნისის №442 განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულისაგან განსხვავებული შემდეგი საპრივატიზებო პირობა: „გადაცემული ქონების სამედიცინო პროფილით ფუნქციონირების უზრუნველყოფა 2024 წლის ნოემბრამდე.“.

2. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი“ (ს/კ 205250618) გათავისუფლდეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და შპს „ი. ჟორდანიას სახელობის რეპროდუქციული ჯანმრთელობის ინსტიტუტს“ (ამჟამად - შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი“) შორის 2008 წლის 22 სექტემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების 2.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის, ამავე ხელშეკრულების 4.3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან იმ პირობით, რომ შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა

ჰელსიკორი“ შეასრულებს ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საპრივატიზებო პირობას.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**